



MES 6 21 0000025281



25/01/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 28.12.2020

სხდომის დაწყების დრო: 16:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 19:00 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული

საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე -
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;

8. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მენეჯმენტის მიმართულებით
9. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
10. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
11. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი;
12. **გაიანე სიმონია** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
13. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
14. **რომეო გალდავა** - სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
15. **ირმაწერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;
16. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ჯემალ მაგანია	სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი	I
2	ვლადიმერ ბოჭაძე	სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	I
3	მაია ხურცილავა	სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I

		სასწავლო უნივერსიტეტი		
4	გიორგი ფარულავა	სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	დეკანი - პროფესორი	I
5	ელისო მურვანიძე	სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი	I
6	ვახტანგ ლეჟავა	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	რექტორი	II
7	ნათია სამუშია	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	პრორექტორი	II
8	მარინა ქარჩავა	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	პრორექტორი	II
9	ანკა თაბუკაშვილი	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	II
10	მარიამ გაბუნია	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი	II
11	თამუნა გეგეშიძე	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი	II
12	შაკო თავაძე	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	სტუდენტების დეკანი	II
13	თეა ოდიშვილი	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	II
14	მარიამ ჯაფარიძე	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	საერთშორისო ურთიერთობების კოორდინატორი	II
15	თეო ურუშაძე	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი	II
16	გიორგი მუსხელიშვილი	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	II
17	თეონა ხუფენია		რექტორი	I I I

		სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი		
18	ბელა მოსია	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III
19	ნინო მაქაცარია	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის ხარისხი	III
20	მაია გონაშვილი	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პროგრამის თანახელმძღვანელი	III
21	ლაშა ნარსია	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პროგრამის განმახორციელებელი პირი, აკადემიური პერსონალი	III
22	ქეთევან ლატარია	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	დეკანი	III
23	ირმა შიოშვილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	რექტორი, პროფესორი	IV
24	შალვა ჭკადუა	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
25	ია ჯიმშიტაშვილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	IV
26	რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მოწვეული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	IV
27	ნანა რინკიაშვილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის	პროფესორი, ფაკულტეტის დეკანი	IV

		სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი		
28	მაია ალადაშვილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ირინე ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	გიორგი ფიჩხაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	მარინე თოიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	მარიამ აბულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ირინა ნაკაშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	თეა მჭედლოური	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ლევან ციციშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ანი ბილანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	გოჩა თუთბერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	თეა კასრაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	დავით ქარცივაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	ნუცა წამალაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
13	რუსუდან სეთურიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
14	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
15	ანი ხეცურიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
4. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
4. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პირველი საკითხი; სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2015 წლის 22 ივლისის N69 გადაწყვეტილება
5		

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0915 თერაპია და რეაბილიტაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზირი N49
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა, პროგრამა შეამოწმა დისტანციურად. ვიზიტი მიმდინარეობდა დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, მოისმინა დაწესებულების ხედვა აღნიშნული პროგრამის განხორციელებასთან და სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებით, შეხვდა და გაესაუბრა

პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელსა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელს, ასევე გაიმართა შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან, ასევე დამსაქმებლებთან. ჯგუფმა ონლაინ დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს ძირითადი მიგნებები. პროგრამა ოთხ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო ერთ სტანდარტთან მიმართებით, როგორც „მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „პათოლოგიური ანატომია“ მოდიფიცირება „პათოლოგიის“ სახით და უკანასკნელის ფარმაკოლოგიისა და შინაგან სნეულებათა საფუძვლების წინაპირობად განსაზღვრა;
2. სწავლების მეთოდების არჩევისას სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინება; სიმულატორზე პრაქტიკული უნარების სწავლების გაზიარება ერთეული სასწავლო კურსებიდან უმეტეს კლინიკურ სასწავლო კურსებში;
3. პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების და შემთხვევაზე ორიენტირებული სწავლების გამოყენება;
4. რეკომენდირებულია დაზუსტდეს ჩანაწერები უნივერსიტეტის ბაკალავრიატის დებულებაში, რომლის თანახმადაც სტუდენტი გაიგივებულია ბაკალავრთან და უკანასკნელის მიერ დადგენილ ვადაში საგანმანათლებლო პროგრამის დაუსრულებლობა განსაზღვრულია, როგორც ბაკალავრის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულიად იზიარებს 2.2 სტანდარტთან დაკავშირებით არსებულ რეკომენდაციებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ამჟამად, სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა, რეგულირდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, რომელიც, ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იყო დამატებითი მტკიცებულების სახით. მარეგულირებელი წესი დამტკიცდა 2019 წლის სექტემბერში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა მე-2 სტანდარტთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციებზე, კერძოდ აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულიად გაიზიარა მოცემული რეკომენდაციები. საკითხის განხილვა მოხდა ფაკულტეტის სხდომაზე, შესაბამისად, „პათოლოგიური ანატომია“ ჩანაცვლდება „პათოლოგიით“, რომლის ფარგლებშიც იქნება შესწავლილი როგორც პათოლოგიური ანატომია, ასევე პათოლოგიური ფიზიოლოგია, შესაბამისად, განხორციელდება წინაპირობების ცვლილებაც.

მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კათედრა, რომელიც აერთიანებს კლინიკურ დისციპლინებს, შესაბამისად არსებობს PBL და CBL გამოყენების პრაქტიკა, აღნიშნულს უძღვება კათედრის

ხელმძღვანელი. ფაკულტეტის საბჭომ სრულიად გაიზიარა მოცემული რეკომენდაცია, შესაბამისა, უახლოს პერიოდში უზრუნველყოფილი იქნება კლინიკური სწავლების ფარგლებში ზემოაღნიშნული მეთოდების გამოყენება.

დაწესებულების რექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფსა და საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი არის საქართველოში მოცემული სპეციალობის დამწერგავი. უნივერსიტეტს აქვს საქმიანობის 35 წლიანი გამოცდილება. დაწესებულებამ 2020 წლის მაისში გაიარა ავტორიზაცია უცხოელი ექსპერტის თავმჯდომარეობით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:25

დასრულების დრო: 16: 32

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ მეორე სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეაფასა როგორც „შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭომ მეორე და მეოთხე რეკომენდაციები გადაიტანა რჩევებში.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „პათოლოგიური ანატომია“ მოდიფიცირება „პათოლოგიის“ სახით და უკანასკნელის ფარმაკოლოგიისა და შინაგან სნეულებათა საფუძვლების წინაპირობად განსაზღვრა;
2. პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების და შემთხვევაზე ორიენტირებული სწავლების გამოყენება;

რჩევები:

1. სწავლების მეთოდების არჩევისას სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინება; სიმულატორზე პრაქტიკული უნარების სწავლების გაზიარება ერთეული სასწავლო კურსებიდან უმეტეს კლინიკურ სასწავლო კურსებში;
2. სასურველია დაზუსტდეს ჩანაწერები უნივერსიტეტის ბაკალავრიატის დებულებაში, რომლის თანახმადაც სტუდენტი გაიგივებულია ბაკალავრთან და უკანასკნელის მიერ დადგენილ ვადაში საგანმანათლებლო პროგრამის დაუსრულებლობა განსაზღვრულია, როგორც ბაკალავრის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.
3. შესაძლებელია სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირება და სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებისას, შეფასების კრიტერიუმების კონცენტრირება პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასებაზე;
- 4 . ინტერნაციონალიზაციის გადრმავება გაცვლითი პროგრამებითა და საერთაშორისო პროექტებით, ასევე უცხოელი ლექტორების ჩართულობა პროგრამის განხორციელების პროცესში;
5. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის მუდმივი განახლება;

6. სტუდენტური სერვისების გაძლიერება, კარიერული სერვისების გაძლიერება, სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერა საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობისათვის, სტუდენტების ჩართულობა თვითშეფასების გუნდში
7. დამატებითი წახალისების მექანიზმების შემუშავება რიგი აკადემიური პერსონალისათვის, რომელთა შრომებს გააჩნიათ მაღალი სამეცნიერო ღირებულება, იძებნებიან Scopus ბაზაში, და გამოირჩევიან მაღალი h ინდექსით;
8. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დახვეწა და პროგრამის სპეციფიკაზე ორიენტაცია. მეტი გამჭირვალების უზრუნველყოფა
9. მჭიდრო უკუკავშირის უზრუნველყოფა დამსაქმებლებსა და კურსდამთავრებულებთან
10. გარე ხარისხის შეფასების მექანიზმების გამრავალფეროვნება, პარტნიორი უცხოური უნივერსიტეტების/ორგანიზაციების ჩართვა გარე ხარისხის შეფასებაში;
11. დამსაქმებელთა რეკომენდაციების გათვალისწინება პრაქტიკული უნარ-ჩვევების, კომუნიკაციის უნარებისა და გუნდური მუშაობის უნარების გაძლიერების მიზნით).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მეორე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 11 დეკემბრის N773 გადაწყვეტილება

5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ბიოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0511 ბიოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N240, კახა ბედენუქიძის კამპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შედგა 25 ნოემბერს, ონლაინ, Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით. შეხვედრა წარიმართა ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება მიეცა ობიექტურად შეეფასებინა „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა. დღის წესრიგის გათვალისწინებით შეხვედრები გაიმართა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის სამსხურთან პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. შეხვედრის დროს ონლაინ Zoom-ის პლატფორმის საშუალებით განხორციელდა უსდ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის

დათვალიერება. ვიზიტის დასრულებისას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომდგენლებს გაუზიარა პროგრამის შესახებ ძირითადი მოსაზრებები და მიგნებები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ა(ა)იპ საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან. პროგრამას აქვს სრული მხარდაჭერა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან. პროგრამის განახლების პროცესში მოხდა ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებში ანალოგიური პროგრამის კურიკულუმების გაცნობა და მათი გამოცდილების გაზიარება საქართველოს რეალობის გათვალისწინებით. პროგრამის სტრუქტურა იძლევა საშუალებას კურსდამთავრებულს მისცეს მისთვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს თანამედროვე ხელსაწყოებთან მუშაობას, კვლევებში ჩართვას, და საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული ამოცანების გადაჭრას. პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის მიხედვით. წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შესაბამისობაშია სწავლების მეექვსე საფეხურთან (ბაკალავრიატი). პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ ჩაერთონ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით პროექტებში. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. კერძოდ, ბიბლიოთეკა, საგამოცდო ცენტრი, სპორტული დარბაზი, კაფეტერია, თანამედროვე პარკინგი და სხვა. უსდ უზრუნველყოფს შესაბამის სასწავლო გარემოს სტუდენტებისთვის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ბიოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას განსაკუთრებით ხელს უწყობს დარგის მიმართულებასთან დაკავშირებული ლაბორატორიების სიმრავლე. კერძოდ, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კვლევითი ინსტიტუტები და ლაბორატორიები (უსდ-ში ფუნქციონირებს 15 კვლევითი ინსტიტუტი, რომლებიც ჯამში აერთიანებს 33 კვლევითი ლაბორატორიას). ბიოლოგიის პროგრამის სტუდენტებს კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შეუძლიათ ისარგებლონ შესაბამისი კვლევითი ინსტიტუტებითა და ლაბორატორიებით (მცენარეთა ბიოქიმიის და ბიოტექნოლოგიის საკვლევი, მოლეკულური 4 ინჟინერიის, კოგნიტიური თვისებების შემსწავლელი, უჯრედული იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ლაბორატორიები). გარდა აღნიშნულისა, უსდ-ში ფუნქციონირებს საერთო საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრი, რომელიც 4 კვლევით ლაბორატორიას აერთიანებს, რომელთაგან საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს ფიზიკო-ქიმიური ანალიზისა და ელექტრონული მიკროსკოპის ლაბორატორიებს. ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ემსახურება უნივერსიტეტის დამოუკიდებელი ლაბორატორიები. კერძოდ, უსდ-ს მოქმედი 3 დამოუკიდებელი ლაბორატორიიდან ბიოლოგიის ტექნოლოგიური ლაბორატორია გამოიყენება ბიოლოგიის პროგრამის სასწავლო მიზნებისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ უსდ-ს აქვს 26 მცირე ჯგუფებზე ფოკუსირებული სასწავლო ლაბორატორია, რომელთაგან 10 ემსახურება ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამას. უსდ უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტისთვის სამუშაო სივრცეს ყველა საჭირო ლაბორატორიული აღჭურვილობითა და სახარჯი მასალით. ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთა უმეტესობას აქვს ევროპის უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. პროგრამას ჰყავს დარგის მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს მრავალწლიანი საერთაშორისო გამოცდილება და გამოირჩევა მაღალი სამეცნიერო პროდუქტიულობით. გარდა აღნიშნულისა, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი საკმაოდ აქტიურია სამეცნიერო მიმართულებით. პროგრამაში წარმოდგენილი მიმართულების სასწავლო კურსების წამყვანი პროფესორების კვლევის შედეგები რეგულარულად იბეჭდება WOS-ის მაღალ იმფაქტ ფაქტორიან ჟურნალებში. პროფესორების უმეტესობა სწავლების პარალელურად აქტიურად არიან ჩართული საგრანტო პროექტების მიმართულებით, მათ შორის საერთაშორისო საგრანტო პროექტებში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის 35 აკადემიური, 46 სამეცნიერო, 27 მოწვეული და 26 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

მთლიანობაში ბიოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ტენდენციებს, ასევე სფეროსა და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს. შესაბამისად, პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებსა თუ უნივერსიტეტებში წარმატებით დამკვიდრებას. პროგრამა სრულად შეძლებს დარგის მიმართულებით არსებული საჭიროებებისა და გამოწვევების შესაბამისად მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას, რაც ასევე თავის მხრივ ეხმარება სფეროს კვლევის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას და საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების ინტერნაციონალიზაციას თანამედროვე გლობალიზაციის პროცესში.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა, კერძოდ, პროგრამაში საფეხურებრივად მნიშვნელოვანი ყურადღება გამახვილებულია კვლევისათვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, რაც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას განათლების, როგორც ადრეულ ისე შემდგომ საფეხურზე ჩაერთოს საერთაშორისო დონის პროექტებში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ მიერ არ გაცემულა რეკომენდაციები, გაცა მხოლოდ რჩევები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რჩევები:

1. სასურველია, პროგრამაში დაემატოს ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც მოიცავს გარემოს დაცვის მიმართულების საკითხებსაც. შესაბამისად, სასურველია დაემატოს ბიომრავალფეროვნების, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების, და ბიოგეოგრაფიის სასწავლო კურსები;
2. იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილ ლიტერატურაში გამოყენებულია ინგლისურენოვანი სასწავლო მასალა. სასურველია გაიზარდოს ინგლისური ენის სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა;
- 3 სასურველია პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გაფართოება ბიოლოგიის სხვადასხვა მიმართულებებისა და მათი საქმიანობის პროფილის გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უმალესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს მნიშვნელოვანი და კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ ინტერესი პროგრამის მიმართ მუდმივად იზრდება და შესაბამისად მოხდა სტუდენტთა მიღების რაოდენობის გაზრდა.

დაწესებულების წარმომადგენლმა მე-2 რჩევასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დიდი ალბათობით ვერ მოხდება ინგლისური ენის სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობის გაზრდა, რადგან აღნიშნული კურსის სტრუქტურა განსხვავებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა, აღნიშნა, რომ პროგრამის კვალიფიკაციაა ბიოლოგიის ბაკალავრი, ასევე მიღებაც არის ბიოლოგიის ბაკალავრზე, თუმცა, პროგრამის მიზნებში მოცემულია, რომ პროგრამის მიზანს წარმოადგენს მოამზადოს ბიოლოგიის მეცნიერებათა ბაკალავრი. მას ამასთან დაკავშირებით სჭირდება განმარტება და ასევე აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიხედვით, კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს გარემოს დაცვით ორგანიზაციებში, შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა ექსპერტების პირველის რჩევის მიხედვით, სჭირდება თუ არა პროგრამის ამ კუთხით განვითარება.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამა შექმნილია ოპტიმალურად და კრედიტების გადანაწილებაც არის იმგვარი, რომ არ მოხდეს სტუდენტების გადატვირთვა. რაც შეეხება ბიომრავალფეროვნებისა და ეკოლოგიის საკითხებს, აღნიშნული მოდულების სახით შედის ლექციებში, მაგალითად ბიოლოგია ბუნებისმეტყველება და სხვა. თუმცა აუცილებლად მოხდება მოდულებისა და სასწავლო კურსების დახვეწა და გაძლიერება. რაც შეეხება კვალიფიკაციას, პროგრამა ამზადებს ბიოლოგიის ბაკალავრს, ხოლო მიღება ცხადდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე, ბიოლოგია-ქიმია ერთად. აღსანიშნავია ასევე, რომ სტუდენტები მაქსიმალურად არიან ჩართულნი სამეცნიერო აქტივობებში.

დაწესებულების რექტორმა ასევე აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულები არა მარტო საქმეებიან გარემოს დაცვით ორგანიზაციებში, არამედ მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა პროექტებშიც. პროგრამის კურსდამთავრებულები მუშაობენ სხვადასხვა დაცულ ტერიტორიებსა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში. მოცემული საკითხები კი გათვალისწინებულია პროგრამაში მოცემულ სხვადასხვა სასწავლო კურსებში. ასევე პროგრამა სტუდენტებს აძლევს საშუალებას გაიღრმავონ ცოდნა საკითხთან მიმართებით არჩევითი კურსების გავლის მეშვეობით.

16:50 საბჭოს სხდომას შეუერთდა დიმიტრი გეგენავა

საბჭოს თავმჯდომარემ მანანა კველიშვილმა აღნიშნა, რომ ეთანხმება ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ პირველ რჩევას, შესაბამისად, უმჯობესია პროგრამას დაემატოს ბიომრავალფეროვნების, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების, და ბიოგეოგრაფიის სასწავლო კურსები. აღნიშნული კურსები შესაძლებელია დაემატოს არჩევითი საგნების სახით, რაც უფრო გააძლიერებს მოცემული თემატიკის შესწავლის დონეს.

ექსპერტმა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ბიოლოგიის პროგრამაზე აუცილებელია გარემოს დაცვის მიმართულებით რჩევაში მოცემული საგნების გავლა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17: 05

დასრულების დრო: 17: 07

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საბჭომ სრულიად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულიად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მესამე საკითხი: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 28 ნოემბრის N173 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 2100, სამეგრელო - ზემო სვანეთი, ზუგდიდი, ჯანაშიას ქუჩა N14
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად 2020 წლის 27 ნოემბერს. ვიზიტამდე 26 ნოემბერს, შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიდეო-კონფერენცია, სადაც განხილულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამა, თანდართული დოკუმენტაცია და თვითშეფასების ანგარიში. განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა 27 ნოემბერს ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. 27 ნოემბერს 9:20 საათიდან, Zoom-ის საშუალებით, დაიწყო გასაუბრება პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაცია) თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ინტერვიუების პროცესი მიმდინარეობდა შეუფერხებლად და მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა შემდეგნაირად:

პირველისტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამესტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. მიზანშეწონილია დაწესებულებამ გააქტიუროს დამსაქმებლებთან კონტაქტები და დაგეგმოს ისეთი ღონისძიებები, რომელიც გამოიწვევს მათს დაინტერესებას ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამით, კერძოდ დამსაქმებლების მეტ ჩართულობას როგორც საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის და სწავლის შედეგების შემუშავების, ასევე, შეფასების პროცესში;
2. საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების მისაღწევად აუცილებელია პროგრამის სტრუქტურაში (სავალდებულო და აჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტებში) განხორციელდეს ცვლილებები, რომლებზეც საუბარია 2.2 სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვისა და ანალიზის ნაწილში;
3. გადაიხედოს და მეტი სიზუსტით შეირჩეს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები;
4. გადაიხედოს სასწავლო კურსის „სტატრტაპი“ ძირითადი ლიტერატურა. სამოყვარულო ლიტერატურის ნაცვლად შეირჩეს ისეთი სახელმძღვანელო, რომელიც უკეთ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას;
5. გაფართოვდეს სტუდენტთა მიერ პროგრამის ფარგლებში გასავლელი საწარმოო პრაქტიკის სფერო/არეალი და შესაბამისად პრაქტიკის ობიექტების რაოდენობა საქმიანობის არეალიც;
6. რეკომენდებულია პროგრამის ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის მეტი ერთობლივი და კოორდინირებული მუშაობა;
7. მიზანშეწონილია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უფრო აქტიურად იმუშაოს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან;
8. დაწესებულებამ უნდა გამოიყენოს ბენჩმარკინგის მეთოდი და განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გამოიყენოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის განხორციელების იდეა არსებობდა უნივერსიტეტის დაფუძნების დღიდან. პროგრამის შინაარსი სრულიად შეესაბამება მის შედეგებსა და მიზნებს. მნიშვნელოვანია, ასევე დამსაქმებლებისა და კვლევების საკითხი. გაეროს განვითარების ფონდის მიერ მოხდა დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანი კვლევის დაფინანსება, 15 000 ლარის ღირებულებით. გაეროს მიერ ასევე მოხდა პრიორიტეტული მიმართულებებისა და საკითხების კვლევების დაფინანსება. დაწესებულების მიმართ ყოველდღიურად იზრდება ინტერესი დამსაქმებლების მხრიდან, მისი თქმით, პროგრამაში ცვლილებების შეტანის შედეგად, კიდევ უფრო დეტალურად განისაზღვრა დამსაქმებლის როლი პროგრამის განვითარებითვის, კერძოდ, დამსაქმებელი, პრაქტიკულ ნაწილს სრულიად უსადაგებს პროგრამასა და მის მიზნებს, შესაბამისად პრაქტიკული კომპონენტის განსაზღვრის დროს ახორციელებს შედეგების ანალიზს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულიად იზიარებს ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ მე-5 რეკომენდაციას. როგორც მან აღნიშნა, პროგრამის სააკრედიტაციოდ წარმოდგენისას თვითშეფასებაში მიეთითა მხოლოდ ის მემორანდუმები დამსაქმებლებთან, რომლებიც პროგრამის მოდიფიცირების ნაწილში მონაწილეობდნენ. გარდა ამისა, თვითშეფასებაში წარმოდგენილია კიდევ 10-მდე მემორანდუმი დამსაქმებლებთან, თუმცა, ვინაიდან რეგიონი დიდია, საწარმოო პრაქტიკის არეალიც იზრდება, რაც განპირობებულია იმით, რომ რეგიონში წვრილი და მსხვილი ბიზნესი იზრდება.

რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, აღსანიშნავია, რომ ხარისხის ცენტრთან ერთად ჩატარდა სხვადასხვა ვებინარები, რომელთაგან ერთ-ერთი სრულიად დაეთმო ინტერნაციონალიზაციისა და სტუდენტთა ჩართულობის საკითხის განხილვას. უნივერსიტეტის მიერ, დეკემბრის თვეში შეიქმნა რამდენიმე სამუშაო ჯგუფი, რის შედეგადაც, დამტკიცდა ინტერნაციონალიზაციის სამწლიანი პოლიტიკა. მოცემული პოლიტიკის ფარგლებში სტუდენტებისგან შედგა 30 კაციანი მსმენელთა ჯგუფი, რომელიც ესწრება საერთაშორისო გამოცდილების მქონე პროფესიონალების ლექციებს, შესაბამისად, ამ კუთხით ინტერნაციონალიზაცია იზრდება და ვითარდება.

კვლევების ნაწილთან დაკავშირებით ასევე განხორციელდა დარგის სპეციალისტებით სამუშაო ჯგუფის ფორმირება, რომლებიც ჩაატერებენ რეგიონალურ კვლევას. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება ავტორიზაციის ფარგლებში ემზადება სამწლიანი თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენისთვის, შესაბამისად, მაქსიმალურად ხდება აქტივობების გაძლიერება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 2018 წლის რეაკრედიტაციის ფარგლებში ექსპერტთა მიერ განსაზღვრული ყველა რეკომენდაცია უნივერსიტეტის მიერ იქნა შესრულებული, თუმცა ასევე აღსანიშნავია, რომ მოხდა პროგრამის დახვეწა, განვითარება და ცვლილებების შეტანა, რაც ნაწილობრივ გამოწვეული იყო კლასიფიკატორის ცვლილებითა და ახალი ბრძანებით. პროგრამა და სასწავლო კურსები აგებულია სტრუქტურულად, რასაც ექსპერტებიც აღნიშნავენ. შესაბამისად, წინაპირობებთან დაკავშირებით რეკომენდაციის გათვალისწინება მარტივად არის შესაძლებელი.

მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ „სტარტაპის“ ლიტერატურასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებულია სხვადასხვა უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარების შედეგად.

რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, დაწესებულებას პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული ჰქონდა ვალენსიის და ტარტუს უნივერსიტეტების გამოცდილება, რა თქმა უნდა ეროვნული კანონმდებლობისა და ღირებულებების გათვალისწინებით. შესაბამისად, დადარების პროცესი უნივერსიტეტში დაწყებულია და აღნიშნულის გამოყენება მუდმივად ხდება პროგრამის დახვეწისა და განვითარების მიზნით. მოცემული პროგრამის აბსოლუტური დადარება შესაძლოა მოხდეს 4 წლის შემდგომ, რაც გამოწვეულია იმით, რომ პროგრამა არის ახალი და მისი განხორციელება ხდება განახლებული ფორმატით.

აღსანიშნავია ასევე თავისუფალი კრედიტების საკითხი, კერძოდ დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამა აგებულია ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად, სადაც გამოყენებულია ძირითადი და თავისუფალი კრედიტები. თავისუფალი კრედიტები მოიცავს თავისუფალ სავალდებულო და არჩევით კურსებს. რაც შეეხება თავისუფალი კრედიტების რაოდენობას, აღნიშნული წარმოადგენს 45 კრედიტს. დაწესებულებას გეგმავს პოლონეთთან, გერმანიის ბონის უნივერსიტეტთან და ასევე პენსილვანიის კოლეჯთან ტრანსფერულ უნარებთან დაკავშირებული კურსების დანერგვას, რომლიც განისაზღვრება 30 კრედიტით. თავისუფალი კრედიტები დღეს უნივერსიტეტში გადახედვის საგანია, სტუდენტისთვის თავისუფალი კრედიტები შეთავაზებული იქნება 30 კრედიტის ფარგლებში, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რადგან უნივერსიტეტი მაქსიმალურად ცდილობს სტუდენტს მისცეს საშუალება გაიაროს უცხოენოვანი საგნები.

პროგრამის თანახემდგანელებმა აღნიშნა, რომ სრულიად ეთანხმება ექსპერტთა პოზიციას. დაწესებულების ფარგლებში მიმდინარეობდა მსჯელობა აქტივობებისა და საბაკალავრო პროექტის თანმიმდევრობასთან დაკავშირებით, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ შეთანხმებულად დამტკიცდა, რომ უმჯობესია თავდაპირველად მოხდეს პრაქტიკის განხორციელება, ხოლო შემდგომ საბაკალავრო პროექტის.

პროგრამის თანახემდგანელებმა ასევე ისაუბრა მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რეკომენდაციის შესაბამისად, დაწესებულებამ გადაწყვიტა ლიტერატურის დახვეწა და გაძლიერება. აღსანიშნავია, რომ „სტარტაპის“ სწავლება პროგრამის ფარგლებში წარმოადგენს

სიახლეს, ამის მიუხედავად გამოცდილება დაწესებულებას აქვს და შესაბამისად აუცილებლად მოხდება მეტად საფუძვლიანი და შინაარსობრივად მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოების დამატება, უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარების შედეგად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ პროგრამაში წარმოდგენილია 3 უცხო ენა, ინგლისური, გერმანული და რუსული შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ როგორ შეუძლიათ სტუდენტებს 20 კრედიტის ფარგლებში აღნიშნული სასწავლო კურსების გავლა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უცხო ენებთან მიმართებით არის არჩევითობის პრინციპი.

გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, თუ რომელი უცხო ენით მოხდება სტუდენტის პროგრამაზე მიღება, მნიშვნელოვანია ინგლისური ენის სწავლება ყველა სტუდენტისთვის, ხოლო შემდგომ მათ უკვე შეეძლება სხვა უცხო ენის არჩევა. ინგლისური ენის ხარჯზე სხვა უცხო ენის შესწავლა არ არის რეკომენდირებული, განსაკუთრებით ბიზნეს-ადმინისტრირების პროგრამაზე. თუ სტუდენტები თავიდან იწყებენ ენის შესწავლას მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული იყოს ინგლისური და ამასთან სტუდენტები ინგლისურის გავლის შემდეგ მიეცეთ შესაძლებლობა ისწავლონ რუსული ან გერმანული ენა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდენტების 40% არის აფხაზეთიდან, შესაბამისად დაწესებულება მათ აძლევს რუსული ენის არჩევის შესაძლებლობას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს უცხო ენათა ცენტრი, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ სრულიად უფასოდ შეისწავლონ ინგლისური ენა.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ აფხაზეთიდან მოსულმა სტუდენტებმა რუსული ენა იციან, შესაბამისად უნივერსიტეტის მხრიდან მეტად იქნება ხელშეწყობა, თუ მათთვის უზრუნველყოფილი იქნება ინგლისური ენის შესწავლა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რუსული ენა უცხო ენების ჩამონათვალში განისაზღვრა სწორედ, რომ სტუდენტების მოთხოვნის საფუძველზე. რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციას, დაწესებულებაში შემუშავებულია შესაბამისი პოლიტიკა, რის შედეგადაც ინგლისური ენა იქნება სავალდებულო პროგრამის ყველა სტუდენტისთვის. რუსული ენის სწავლების პარალელურად, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა სრულიად უფასო შეისწავლოს ინგლისური ენა დაწესებულებაში არსებულ უცხო ენათა ცენტრში. დაწესებულება ითვალისწინებს, რომ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ხაზს უსვამს ინგლისური ენის სავალდებულოობას, შესაბამისად, აღნიშნული აუცილებლად იქნება გათვალისწინებული.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ ყურადღება გაამახვილა „მეწარმეობის“ სასწავლო კურსზე, და აღნიშნა, რომ მაშინ როდესაც, სტუდენტს არ აქვს გავლილი მენეჯმენტის საფუძვლები და არც მარკეტინგის საფუძვლები, შესაბამისა, მას ბიზნესზე არ აქვს კომპლექსური ხედვა, აქედან გამომდინარე, „მეწარმეობის“ მეორე სემესტრში დაწყება სტუდენტებისთვის იქნება ნაადრევი. ასევე უმჯობესი იქნება პირველ სემესტრში დაემატოს ბიზნესისთვის ფუნქციური საკითხების შესავალი სასწავლო კურსები. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაში საერთოდ არ არის მოცემული ფინანსები, რაც აუცილებელ და მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ბიზნესის ბაკალავრისთვის, შესაბამისად, უმჯობესია მისი დამატება. ასევე უმჯობესია მოხდეს, პროგრამის ფარგლებში თანამედროვე ინფორმაციული სისტემების გაძლიერება.

პროგრამის თანახმდგვანელმა აღნიშნა, რომ ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, „ბიზნესის საფუძვლები“ ჩანაცვლდა „მეწარმეობით“, იმ მიზნით, რომ ყოფილიყო საკითხის ზოგადი შესწავლა, თუმცა, ნამდვილად უმჯობესი იქნება თუ სასწავლო კურსი შემგომ სემესტრებში გადაიწეოს, შესაბამისად აუცილებლად მოხდება აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ აუცილებლად მოხდება ინფორმაციული სისტემების გაძლიერება.

საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ კიკნაძემ აღნიშნა, რომ ბიზნესის ენა არის ინგლისური, შესაბამისად მისი სწავლება აუცილებელია, ხოლო რუსული და გერმანულის არჩევითი სასწავლო კურსის სახით შესაძლოა ისწავლებოდეს მხოლოდ უცხო ენების ცენტრის ფარგლებში. „მეწარმეობისა“ და „სტარტაპის“ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა განმარტა, რომ კურსები ერთმანეთთან არის მიბმული. „სტარტაპის“ სასწავლო კურსი უნდა იყოს მეტად პრაქტიკაზე ორიენტირებული. ნიკოლოზ კიკნაძე ასევე დაინტერესდა თუ რატომ მოხდა პროგრამიდან მარკეტინგისა და ფინანსების მოდულის ამოღება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ფინანსების საკითხი მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული. „სტარტაპისა“ და „მეწარმეობისთვის“ აუცილებელი ღონისძიებები ასევე დაიგეგმება, აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსი წარმოადგენს სიახლეს და ჯერ-ჯერობით მისი სწავლება არ ხორციელდება. რაც შეეხება „სტარტაპის“ სილაბუსს, ის არის ტარტუს უნივერსიტეტის სტარტაპის სილაბუსის ანალოგი. „მეწარმეობისა“ და „სტარტაპის“ სასწავლო კურსების სწავლება გადატანილი იქნება მე-2 სემესტრის შემდგომ, შესაბამისად, აუცილებლად მოხდება ექსპერტთა და საბჭოს წევრთა რჩევების გათვალისწინება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:53

დასრულების დრო: 18: 10

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, თუმცა დაამატა რამდენიმე რეკომენდაცია.

რეკომენდაციები:

1. მიზანშეწონილია დაწესებულებამ გააქტიუროს დამსაქმებლებთან კონტაქტები და დაგეგმოს ისეთი ღონისძიებები, რომელიც გამოიწვევს მათ დაინტერესებას ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამით, კერძოდ დამსაქმებლების მეტ ჩართულობას როგორც საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის და სწავლის შედეგების შემუშავების, ასევე, შეფასების პროცესში;

2. საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების მისაღწევად აუცილებელია პროგრამის სტრუქტურაში (სავალდებულო და აჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტებში) განხორციელდეს ცვლილებები, რომლებზეც საუბარია 2.2 სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვისა და ანალიზის ნაწილში;

3. გადაიხედოს და მეტი სიზუსტით შეირჩეს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები;

4. გადაიხედოს სასწავლო კურსის „სტარტაპი“ ძირითადი ლიტერატურა. სამოყვარულო ლიტერატურის ნაცვლად შეირჩეს ისეთი სახელმძღვანელო, რომელიც უკეთ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას;

5. გაფართოვდეს სტუდენტთა მიერ პროგრამის ფარგლებში გასავლელი საწარმოო პრაქტიკის სფერო/არეალი და შესაბამისად პრაქტიკის ობიექტების რაოდენობა საქმიანობის არეალიც;

6. რეკომენდებულია პროგრამის ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის მეტი ერთობლივი და კოორდინირებული მუშაობა;

7. მიზანშეწონილია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უფრო აქტიურად იმუშაოს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან;

8. დაწესებულებამ უნდა გამოიყენოს ბენჩმარკინგის მეთოდი და განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გამოიყენოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

9. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ პროგრამის ყველა კურსდამთავრებულმა გაიაროს ინგლისური ენის კურსი, რომელიც უზრუნველყოფს ინგლისური ენის B2 დონეზე გასვლას.

10. პროგრამის კურიკულუმს დაემატოს ფინანსების მიმართულების საგნები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის კურსდამთავრებულებმა მიიღონ საბაზისო ცოდნა ფინანსების ადმინისტრირებაში რაც აუცილებელია ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებულისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმალღესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

მეოთხე საკითხი: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 12 სექტემბრის N119 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 2200, ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N1
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა მანანა კველიშვილმა

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი იქნა აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების პაკეტი, რომლის შემოწმებისას დადგინდა, რომ გაცემული რეკომენდაციები უმეტესად შესრულებულია. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანია: „ბიზნესის მართვის ძირითადი პრინციპების ფართო თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და კრიტიკული აზროვნების უნარის მქონე კონკურენტუნარიანი ბაკალავრის მომზადება, რომელიც მისი კომპეტენციის ფარგლებში შეძლებს: ბაზარზე ორიენტირებული ხედვით ბიზნესის დაგეგმვას, კონტროლს და ადმინისტრირებას; ბიზნესის სფეროსთვის დამახასიათებელი მმართველობითი, ფინანსური და მარკეტინგული საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებას“.

როგორც ექსპერტმა აღნიშნა, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის შემოწმება ონლაინ რეჟიმში ექსპერტების მიერ განხორციელდა 2020 წლის 3 დეკემბერს. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა (რუსუდან სეთურიძე, დავით სიხარულიძე, ანი ხეცურიანი) გაცვალა მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსების და თვითშეფასების ანგარიშის შესახებ. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეებში ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა შემდეგნაირად:

პირველსტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამესტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია რამოდენიმე სწავლის შედეგი დაიხვეწოს, უფრო მკაფიოდ ჩანდეს ლოგიკური ბმა სასწავლო კურსებსა და სწავლების შედეგს შორის;

2. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში რეკომენდირებულია შემდეგი სასწავლო კურსების დამატება: ოპერაციათა მენეჯმენტი, საგადასახადო საქმე, მომხმარებლის ქცევა, მმართველობითი აღრიცხვა. ასევე ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი

კომპონენტიდან გადატანილ იქნეს სავალდებულო კომპონენტში სასწავლო კურსი ბიზნეს-ინფორმატიკა;

3. რეკომენდირებულია სასწავლო კურსების „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლების“ და „ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების“ შინაარსის დახვეწა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შეფასებისთვის და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შედეგებთან მიმართებით ფიქსირდება გარკვეული ხარვეზი. მე-9 შედეგი განსაზღვრულია შემდეგნაირად: „ახდენს კომპანიის საქმიანობისას წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირებას, მათი გადაჭრის ალტერნატიული გზების ჩვენებას, მიზნობრივი პროექტების შემუშავებას და დემონსტრირებას.“ „მარკეტინგის საფუძვლებში“ ისწავლება, კვლევის მეთოდები და დაგეგმვა. აღსანიშნავია ასევე „მენეჯმენტის საფუძვლები“, რომელიც დაწესებულების აზრით შედეგზე ვერ გადის, თუმცა „სტრატეგიული მენეჯმენტი“ წარმომადგენს სასწავლო კურსს, რომელიც შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს პრობლემების იდენტიფიცირებასა და გადაჭრას.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები“ უშუალოდ განხილულია სასწავლო კურსის ფარგლებში და მოცემულია თავების მიხედვით სილაბუსში. პირველი, მე-3, მე-11 და მე-13 სასწავლო კვირებში არის განხილული მოცემული საკითხები, თუმცა არ არის ჩაშლილი ცალკეულ თემებად. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა 2019 წლის საგამოცდო საკითხები, სადაც დეტალურად იყო მოცემული ზემოაღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებული საკითხები, შესაბამისა, მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსში საკითხები ცალკე თემებად არ არის ჩაშლილი, მათი სწავლება პროგრამის ფარგლებში ხორციელდება. თუმცა, აუცილებლად მოხდება ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის გათვალისწინება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ, რჩევის სახით განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია სასწავლო კურსის „ოპერაციათა მენეჯმენტის“ დახვეწა და განვითარება, რადგან პროგრამის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების დაგეგმვა და მართვა. გიორგი თურქიამ ასევე ყურადღება გაამახვილა არჩევით სასწავლო კურსზე, „საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია“ და აღნიშნა, რომ უმჯობესია, საგანი ჩანაცვლდეს ეკონომიკური გეოგრაფიით, რომელიც უფრო გლობალურ ხედვას მისცემს სტუდენტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აუცილებლად მოხდება რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინება. დაწესებულება მუდმივად მუშაობს პროგრამის განვითარებასა და დახვეწაზე.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ, ისაუბრა არჩევით სასწავლო კურსებთან დაკავშირებით, კერძოდ, „დემოკრატიისა და მოქალაქეობის“ სილაბუსში მითითებულია 2011 წლის სახელმძღვანელო, თუმცა უნივერსიტეტები გადავიდნენ მე-2 გადამუშავებული და განახლებული სახელმძღვანელოთი სწავლებაზე. ასევე „შესავალი კურსი პოლიტოლოგიაში“, უფრო მეტად თავისი შინაარსით ჰგავს „პოლიტიკური აზრის ისტორიას“. აღნიშნულ სილაბუსშიც ლიტერატურა საჭიროებს განახლებას, რასაც იძევა გამოცემებისა და სახელმძღვანელოების რესურსიც. აღსანიშნავია ასევე „ხელისუფლებისა და პოლიტიკური პროცესების“ სილაბუსი, რომელშიც ძირითადი ლიტერატურა არის 2006 წლის გამოცემა, რომელიც ასევე აუცილებელია განახლდეს, რადგან მოცემული კურსის სწავლება თანამედროვე დემოკრატიული დინამიკის განხილვის გარეშე შეუძლებელია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია

სილაბუსების გადახედვა და ლიტერატურასა და შინაარსთან დაკავშირებით კორექტირების შეტანა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ „ხელისუფლებისა და პოლიტიკური პროცესების“ სილაბუსში ძირითად ლიტერატურად განსაზღვრულია 2006 წლის გამოცემა, სტუდენტებს საშინაო დავალებებისა და ჯგუფური მუშაობის ფარგლებში მუდმივად უწევთ თანამედროვე საკითხებისა და მიმდინარე მოვლენების განხილვა. სტუდენტების მიერ ასევე ხდება საკითხები მოძიება და ანალიზი.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ „დროის მათვის“ სასწავლო კურსი, თავისი შინაარსიდან გამომდინარე არ შეიძლება იყოს 5 კრედიტიანი საბაკალავრო საგანი. აღნიშნული საკითხები შეილება იყოს განხილული რამოდენიმე სემინარის სახით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:50

დასრულების დრო: 18:56

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, ასევე დაამატა ერთი რეკომენდაცია.

რეკომენდაციები

1. რეკომენდებულია რამოდენიმე სწავლის შედეგი დაიხვეწოს, რათა უფრო მკაფიოდ ჩანდეს ლოგიკური ბმა სასწავლო კურსებსა და სწავლების შედეგს შორის;
2. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში რეკომენდირებულია შემდეგი სასწავლო კურსების დამატება: ოპერაციათა მენეჯმენტი, საგადასახადო საქმე, მომხმარებლის ქცევა, მმართველობითი აღრიცხვა. ასევე ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტიდან გადატანილ იქნეს სავალდებულო კომპონენტში სასწავლო კურსი ბიზნეს-ინფორმატიკა;
3. რეკომენდირებულია სასწავლო კურსების „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლების“ და „ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების“ შინაარსის დახვეწა.
4. რეკომენდირებულია არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში უახლესი ლიტერატურით განახლდეს შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსები: „დემოკრატია და მოქალაქეობა“, „შესავალი კურსი პოლიტოლოგიაში“. დაემატოს უახლესი გამოცემები სასწავლო კურსს „ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესები“. დაიხვეწოს აღნიშნული კურსის სწავლა-სწავლების მეთოდები.

რჩევები:

1. ტექნიკური ხარვეზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შესახებ დაზუსტდეს 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანების შესაბამისად;
2. სასურველია დამსაქმებელთა წრის გაფართოება;
3. სასურველია დარგობრივი არჩევითი კურსების მრავალფეროვნება;
4. სასურველია შეფასების მეთოდად უფრო ფართოდ იქნეს გამოყენებული ქეისები;
5. სასურველია გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის წახალისების მექანიზმი;
6. სასურველია გარე ექსპერტიზის ჩატარება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო

პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის სმინიჭების საკითხი 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15


წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს სხდომა დასრულდა 19 :00 საათზე

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა

